



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჩ. ჯახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№გ-08/01-23

16/05/2023

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ბატონო შალვა,
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) საკანონმდებლო წინადადებას - „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ პარლამენტის რეგლამენტის პროექტს.

იხ. დანართი (კანონპროექტი და განმარტებითი ბარათი, 17 გვერდი).

პატივისცემით,
ნონა ქურდოვანიძე

თავმჯდომარე

საკონტაქტო პირი: ნინო კაპანაძე,
[Redacted]

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№: 1-6961/23
16.05.2023 წ. ფურს. 9

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016054) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-40 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე დაესწროს კომიტეტის უახლოეს სხდომას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოწვევის ინიციატორი სხვა თარიღს განსაზღვრავს. ამასთანავე, ფრაქციას კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო წესით მოწვევის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავს კომიტეტში წევრი.“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 41. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი ვალდებულია კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. კომიტეტის თავმჯდომარე ამ მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის გადაწყვეტილებას მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა უგზავნის შესაბამის თანამდებობის პირს.“.

3. 148-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თანამდებობის პირი ვალდებულია კითხვაზე პასუხში მიუთითოს, მათ შორის, ის ინფორმაცია, რომელიც პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს. თანამდებობის პირს უფლება აქვს, კითხვაზე პასუხში არ მიუთითოს ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კითხვაზე პასუხი პარლამენტის აპარატის მიერ გადაეცემა კითხვის ავტორს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე, გარდა პერსონალური მონაცემების, კომერციული და პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა. ასეთი ინფორმაციის თაობაზე ადრესატი უთითებს თავის პასუხში. კითხვაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში გადაცილების თაობაზე აღინიშნება მისი გამოქვეყნებისას.“;

გ) მე-8 პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსი მე-9 და მე-10 პუნქტები:

„9. კითხვაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადის 10 დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ ვრცელდება ამ რეგლამენტის 226-ე მუხლით გათვალისწინებული რეაგირების ფორმები.“

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ ის შეიძლება აგრეთვე დამატებით დაისვას სამთავრობო საათის

მიმდინარეობისას ამ რეგლამენტის 149¹ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვადის დაცვის გარეშე.“.

4. 149-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ერთი ადრესატის მიმართ გაგზავნილ წერილში რამდენიმე განსხვავებული თემატიკის შეკითხვის დასმის შემთხვევაში, თითოეული დამოუკიდებელ შეკითხვად ითვლება.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ინტერპელაციის წესით გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხი პარლამენტის აპარატს ეგზავნება შესაბამის პლენარულ სხდომამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. პარლამენტის აპარატი მიღებულ პასუხს უგზავნის შეკითხვის ავტორებსა და პარლამენტის სხვა წევრებს.“;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი პარლამენტში წარდგება, როგორც წესი, მორიგი სესიის განმავლობაში ყოველი თვის (გარდა დეკემბრისა და ივნისისა) პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს და უპასუხებს ყველა შეკითხვას, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა. თუ ინტერპელაციის წესით ჩაბარებულია 2-ზე მეტი შეკითხვა, ბიურო უფლებამოსილია, საკითხი შეიტანოს მომდევნო მორიგი პლენარული სხდომების კვირის დღის წესრიგში.“;

დ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. თუ ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი შესაბამის კვირაში პარლამენტში საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს გამოცხადებას, ის პარლამენტის წინაშე წარდგება მომდევნო მორიგი პლენარული სხდომების კვირის პარასკევს.“;

ე) მე-7 პუნქტი ამოღებული იქნეს;

ვ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია უნდობლობის საკითხის აღძვრა ამ რეგლამენტის 161-ე მუხლის შესაბამისად.“.

5. 149-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 149¹ მუხლი:

„მუხლი 149¹. სამთავრობო საათი

1. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს მთავრობის წევრს ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელს არაუმეტეს ორი შეკითხვით, რომელსაც ზეპირი პასუხი გაცემა უახლოესი მორიგი პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს (სამთავრობო საათი), გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. კითხვა უნდა გაიგზავნოს შესაბამის პლენარულ სხდომამდე არაუგვიანეს 4 დღისა. კითხვები უნდა იყოს ლაკონური და იძლეოდეს მოკლე პასუხის გაცემის შესაძლებლობას.

3. პლენარულ სხდომაზე კითხვის დაზუსტების უფლებით შესაძლებელია ისარგებლოს მხოლოდ კითხვის ავტორმა, რისთვისაც მას ეძლევა 3 წუთი. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია პარლამენტის სხვა წევრებს მისცეს დამატებითი შეკითხვების დასმის შესაძლებლობა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვით.

4. კითხვა-პასუხის პროცედურის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 წუთს. შეკითხვების რაოდენობის გათვალისწინებით, პროცედურის ზუსტ გრაფიკს ყოველი სამთავრობო საათის წინ ადგენს პარლამენტის ბიურო იმგვარად, რომ 1 შეკითხვისთვის განისაზღვროს არანაკლებ 1 წუთისა, ხოლო პასუხისთვის - არანაკლებ 5 წუთისა. იმ შეკითხვებზე პასუხი, რომელიც შესაბამის

პლენარულ სხდომაზე ვერ მოესწრება, ავტომატურად გადავა მომდევნო მორიგი პლენარული სხდომების კვირის სამშაბათ დღეს.

5. მთავრობის წევრს უფლება აქვს, მისთვის გაგზავნილ შეკითხვას უახლოეს პლენარულ სხდომაზე უპასუხოს, თუკი მიიჩნევს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჩქაროა.

6. შეკითხვებზე პასუხის გასაცემად პარლამენტის წინაშე წარსდგება კითხვის ადრესატი - შესაბამისი მთავრობის წევრი, მისი მოადგილე ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულების ხელმძღვანელი. მთავრობის წევრი უფლებამოსილია, სამთავრობო საათზე პასუხის წარსადგენად მხოლოდ თავისი მოადგილე მიავლინოს, თუ თავად საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება პარლამენტში.

7. პლენარულ სხდომაზე შეკითხვას პასუხი გაცემა იმ შემთხვევაში, თუ კითხვის ავტორი დარბაზში იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შეკითხვას პასუხი გაცემა წერილობით შესაბამისი პლენარული სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

8. შეკითხვა და პასუხი (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი პასუხის ჩანაწერი) ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

9. შეკითხვის ავტორს უფლება აქვს გამოითხოვოს შეკითხვა სამთავრობო საათამდე არაუგვიანეს 1 დღისა.“.

6. 150-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული მოხსენება წერილობითი ფორმით პარლამენტს წარედგინება, როგორც წესი, სამთავრობო პროგრამის წარდგენიდან ყოველი 1 წლის თავზე.“.

7. 155-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თემატური მოკვლევის საკითხი და ინფორმაცია იმ პარლამენტის წევრთა შესახებ, რომლებმაც დაადასტურეს მოკვლევაში მათი მონაწილეობა, წარედგინება პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას. თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შესაბამისი კომიტეტის ან საბჭოს წევრთა შემადგენლობის ნახევარს. ამასთანავე, თუ აღმოჩნდება, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მოკვლევის სურვილი გამოითქვა სხვადასხვა კომიტეტში, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, თემატური მოკვლევის ჯგუფში შესაძლებელია გაერთიანდნენ სხვა კომიტეტების წევრებიც.“;

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ პუნქტი:

„7¹. თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადას განსაზღვრავს მისი შემქმნელი სუბიექტი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს. ვადის გაგრძელება დაუშვებელია.“;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. თემატური მოკვლევის ჯგუფი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 1 კვირისა აშბადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს ან შესაბამის კომიტეტს. აღნიშნული დასკვნა პარლამენტის ბიუროს წარედგინება, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით თემატური მოკვლევის ჯგუფი სხვადასხვა კომიტეტის წევრებისგან შედგება ან საკითხზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტის მუდმივმოქმედმა საბჭომ მიიღო. თუ საკითხზე მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება კომიტეტმა მიიღო, თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა წარედგინება კომიტეტს. კომიტეტი უფლებამოსილია ეს დასკვნა წარუდგინოს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიუროს უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეიტანოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხი განიხილება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესით.“

აღნიშნული დასკვნის საფუძველზე შესაბამისი კომიტეტი ან პარლამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. კომიტეტის, პარლამენტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.“;

დ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებულ ვადაში დასკვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, თემატური მოკვლევის ჯგუფს ავტომატურად უწყდება უფლებამოსილება, რის შესახებაც შემქმნელი სუბიექტი აცნობებს პარლამენტის ბიუროს.“.

8. 226-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პარლამენტი თანამდებობის პირის მიმართ იყენებს რეაგირების შემდეგ ფორმებს:

ა) იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ რეაგირების ზომების მისაღებად;

ბ) სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს (მათ შორის, პრემიერ-მინისტრს) მიმართავს რეკომენდაციით მისდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეგლამენტის პროექტი:

საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქცია დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. ზედამხედველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების და პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა და ბიუჯეტის პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალება. პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების მკაცრი მონიტორინგი კარგი მმართველობის მაჩვენებელია. გარდა პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციისა, სწორი და ეფექტიანი ზედამხედველობით პარლამენტს შეუძლია უზრუნველყოს ძალთა ბალანსი და განამტკიცოს თავისი, როგორც ხალხის ინტერესების დამცველის როლი.

ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხით უზრუნველსაყოფად, საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეს საკითხი ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის რეკომენდაციებშიც მოხვდა, რომელიც საქართველოს მიმართ გაიცა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.¹ რეკომენდაციების შესასრულებლად საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის სექტემბერ-ნოემბერში პარლამენტის რეგლამენტში შეიტანა ცვლილებები, რომლებმაც ნაწილობრივ გააუმჯობესა საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობა ნორმატიულ დონეზე. ამ ძალისხმევის მიუხედავად, კვლავ რჩება საკითხები, რომელთა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება დადებით წვლილს შეიტანს აღნიშნული რეკომენდაციის სრულად შესრულებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წლებია ადვოკატირებს საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიმართულებით. 2020 წელს ორგანიზაციამ საზოგადოებას წარუდგინა ანგარიში, რომელიც ანალიზებდა 2017-2018 წლების საკონსტიტუციო და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ საპარლამენტო კონტროლის ხარისხს ქვეყანაში როგორც ნორმატიულ დონეზე, ისე პრაქტიკაში.² დოკუმენტით პარლამენტს ათეულობით რეკომენდაცია წარუდგინა. მათგან საკანონმდებლო ორგანომ მომდევნო წლებში მცირე ნაწილი გაითვალისწინა. გარდა ამისა, 2023 წლის მაისში მეათე მოწვევის პარლამენტში საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის კვლევაც გამოაქვეყნა ორგანიზაციამ და პარლამენტს დამატებითი რეკომენდაციები წარუდგინა.³

საიამ 2022 წელს, ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფშიც მიიღო მონაწილეობა და საკუთარი მოსაზრებებიც წარადგინა.⁴ ორგანიზაციის რეკომენდაციების დიდი ნაწილი ამჯერადაც არ გაითვალისწინა პარლამენტმა. შედეგად, კვლავ რჩება საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით საკითხები, რომელთა მოწესრიგება, საიას აზრით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ზედამხედველობის ხარისხს და ხელს შეუწყობს ქვეყნისათვის კანდიდატის სტატუსის მიღებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებას.

¹ Opinion on the EU membership application by Georgia, 17 June 2022, Brussels, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3T9Oqlo>, განახლებულია: 01.05.2023.

² ვახუშტი მენაბდე და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GtiZBC>, განახლებულია: 01.05.2023.

³ სალომე საღარაძე, გიორგი ალავერდაშვილი და ნინო კაპანაძე, საპარლამენტო კონტროლი მეათე მოწვევის პარლამენტში პირველი ნაწილი, საქართველო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/433PiAx>, განახლებულია: 16.05.2023.

⁴ „საიამ პარლამენტს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების თაობაზე მოსაზრებები წარუდგინა“, 2022 წლის 14 აგვისტო, საქართველოს იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Zr8Qda>, განახლებულია: 01.05.2023.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი ემსახურება საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით წლების განმავლობაში იდენტიფიცირებული გამოწვევების დაძლევის საკანონმდებლო დონეზე. განმარტებით ბარათში აღწერილი პრობლემები ეყრდნობა საიას მიერ გასულ წლებში წარდგენილ სარეკომენდაციო დოკუმენტებს. უფრო კონკრეტულად:

ინტერპელაციის მექანიზმი კონტროლის რთულ ფორმას წარმოადგენს და პარლამენტარიზმში იგი დაკავშირებულია გაკიცხვის რეზოლუციასთან (უნდობლობის ვოტუმთან). საქართველოში არც კონსტიტუციის და არც რეგლამენტის დონეზე მკაფიო ბმა არ არსებობს ინტერპელაციასა და უნდობლობის პროცედურის დაწყებას შორის. ევროპის არაერთ სახელმწიფოშია გათვალისწინებული ინტერპელაციის ბმა უნდობლობის პროცედურასთან. მიუხედავად იმისა, რომ არსებული მოწესრიგებითაც არ გამოირიცხება ინტერპელაციის შემდეგ დამოუკიდებლად უნდობლობის პროცედურის წამოწყება, ამ ორი პროცედურის ერთმანეთთან მკაფიოდ დაკავშირების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ინტერპელაციის ეფექტიანობა და მისი შესაბამის შედეგთან ბმა.

2018 წლის რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ, ინტერპელაციის მთავარი გამოწვევაა საკითხის განსახილველად გაწერილი არასაკმარისი დრო. 2020 წლის ცვლილებების შედეგად ნორმის პირვანდელი რედაქცია გაუმჯობესდა, თუმცა, კვლავ რჩება ხარვეზები. ინიციატორები ზოგჯერ ერთი ინტერპელაციის ქვეშ რამდენიმე განსხვავებულ კითხვას აერთიანებენ, რათა მათთვის საინტერესო საკითხებზე მაქსიმალურად მიიღონ პასუხები. ეს იწვევს ინტერპელაციის პროცედურის გადატვირთვას, ხოლო შესაბამისი საკითხების არასიდრმისეულ და ზედპირულ განხილვას. ამასთან, ყველა ეს კითხვა 1 პროცედურის ფარგლებში განიხილება. მათი განხილვის დროს ეს ხელს უშლის თითოეული საკითხის სრულყოფილად დამუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის ცვლილებებით ინტერპელაციების ჩატარების სიხშირე 4-დან 7-მდე გაიზარდა, რეგლამენტი კვლავ უშვებს შესაძლებლობას, რომ 1 დღეს 2-ზე მეტი ინტერპელაციის შემთხვევაში თითოეულისთვის გამოყოფილი დრო შემცირდეს პროპორციულად. იმის მიუხედავად, რომ რეგლამენტით დაშვებულია ინტერპელაციის შემთხვევაში საკითხის ამოწურვამდე საპარლამენტო სხდომის გაგრძელება, დროის პროპორციული შემცირება დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს. დებატებისათვის შემცირებული დროის პირობებში თითოეული ინტერპელაციის საკითხი არასათანადოდ მუშავდება და უარყოფითად მოქმედებს პროცედურის ეფექტიანობაზე. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მომდევნო მორიგ პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის გაგრძელებას.

ინტერპელაციის ნაწილში კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ ანგარიშვალდებული პირის წერილობითი პასუხის დეპუტატებისათვის გაგზავნის თარიღი რეგლამენტით დადგენილი არაა. ეს იწვევს არაერთგვაროვან პრაქტიკას. კერძოდ, დეპუტატები ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ ინტერპელაციის პროცედურის დაწყებამდე მათ პასუხები არ მიეწოდათ. შედეგად, დეპუტატებს არ აქვთ შესაძლებლობა, სათანადოდ მოემზადონ შესაბამისი პლენარული სხდომისთვის. კანონპროექტი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ითვალისწინებს ვადის დაწესებას პასუხის დეპუტატებისთვის გაგზავნისთვის.

საიას მონიტორინგის და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინტერპელაციის და მინისტრის საათის პროცედურის დროს დეპუტატები ხშირად სცდებიან განსახილველ საკითხს და სვამენ აქტუალურ თემებზე შეკითხვებს. ეს არაეფექტიანს ხდის ამ პროცედურებს, ხოლო მიმდინარე, აქტუალურ მოვლენებზე მთავრობის წარმომადგენლების მიმართ კითხვების დასმისა და მათგან პირდაპირი პასუხების მიღების სხვა პროცედურა პლენარული სხდომის ფორმატში არ არსებობს. საპარლამენტო კონტროლის სრულყოფილად განსახორციელებლად, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი პროცედურის, სამთავრობო საათის შემოღებას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების პლენარულ სხდომაზე ინტენსიური დასწრების შემთხვევაში საშუალებას მისცემს დეპუტატებს, დაუსვან მათ მიმდინარე აქტუალურ პრობლემებზე კითხვები და იქვე მიიღონ პასუხები. ორგანიზაციამ ამ

პროცედურის გაწერისას იხელმძღვანელა ევროპული ქვეყნების გამოცდილებით, რაც განმარტებითი ბარათის შესაბამის ქვეპუნქტშია აღწერილი.

სადეპუტატო კითხვებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობით არ არსებობს უპასუხო კითხვების სტატისტიკის აღმოსაფხვრელად საკმარისი რეაგირების მექანიზმები. ამასთან, პასუხისმგებლობის არსებული ზომები მინისტრებზე არ ვრცელდება, რის გამოც სადეპუტატო კითხვების უპასუხოდ დატოვება რეაგირების გარეშე რჩება. კონსტიტუციის არსებული რედაქცია მინისტრის ინდივიდუალურ (პოლიტიკურ) პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, თუმცა, ამის მიუხედავად, რეგლამენტი ტოვებს შესაძლებლობას იმისა, რომ მთავრობის წევრებზე გარკვეული სახის, ანგარიშვალდებულების სტანდარტი გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასრულებელი შტოს მიმართ საპარლამენტო ზედამხედველობა იმდენად სუსტი იქნება, რომ სხვა მექანიზმების ეფექტიანობაც ეჭვქვეშ დადგება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, წარმოდგენილი კანონპროექტი უშვებს შესაძლებლობას, რომ რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში ამავე აქტით გათვალისწინებული რეაგირების ზომები გავრცელდეს მინისტრებზეც, შედეგად, პარლამენტს შესაძლებლობა ექნება მიმართოს პრემიერ-მინისტრს რეკომენდაციით მისდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ. ეს დარღვევები შესაძლოა იყოს არა მხოლოდ სადეპუტატო კითხვების უპასუხოდ დატოვება, არამედ რეგლამენტის სხვა ნორმების დარღვევაც (მაგალითად, სხდომებზე დაბარების შემთხვევაში გამოუცხადებლობა).

სადეპუტატო კითხვებთან მიმართებით გამოიკვეთა ასევე პერსონალურ ინფორმაციას, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას მიკუთვნებულობის მიზეზით პასუხის/ინფორმაციის არ გაცემის შემთხვევები. რეგლამენტი მკაფიოდ არ ითვალისწინებს, თუ რა სახის ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს დეპუტატს (მითითებულია მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებაზე). ამის გამო არსებობს პრაქტიკა, რომ უწყებები არ გასცემენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეიცავს პერსონალურ ინფორმაციას, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. ამგვარი ინფორმაციის მიუღებლობამ შესაძლოა დეპუტატს ხელი შეუშალოს ეფექტიანი კონტროლის განხორციელებაში (მაგალითად, კორუფციის რისკის გამოვლენაში). შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილება ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება და ითვალისწინებს მკაფიო ჩანაწერს სადეპუტატო შეკითხვის შინაარსობრივი ფარგლების შესახებ.

კომიტეტის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის (ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება) მექანიზმის მიზანია, დოკუმენტური მასალის მიღება აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან. დოკუმენტაციის გამოყენებისათვის კი აუცილებელია ისინი სათანადო ვადაში მიიღოს შესაბამისმა კომიტეტმა. იმის გამო, რომ რეგლამენტით არაა გათვალისწინებული ვადის დადგენის აუცილებლობა, ხშირ შემთხვევაში კომიტეტები არ უსაზღვრავენ ადრესატს პასუხის გაცემის ვადას. შედეგად კი დოკუმენტებს დაგვიანებით იღებენ. წარმოდგენილი კანონპროექტით დგინდება, რომ კომიტეტმა უნდა დაადგინოს ეს ვადა, რომელიც იქნება 15 სამუშაო დღემდე. ეს აღმოფხვრის ინფორმაციის გამოთხოვისა და მიღების არაერთგვაროვან პრაქტიკას კომიტეტებში.

ანგარიშვალდებული პირის კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო დასწრების მოთხოვნის ერთ-ერთი ადრესატია ფრაქცია. შესაბამისად, ის საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. რეგლამენტის ნორმები ამ მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. თუმცა რეგლამენტი არ განსაზღვრავს დაბარების შემთხვევაში, როდის უნდა მივიდეს ადრესატი კომიტეტის სხდომაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომიტეტები, როგორც წესი, თავად განსაზღვრავენ თავიანთი სხდომების თარიღებს, საპარლამენტო უმრავლესობას შესაძლებლობა აქვს, დღის წესრიგში არ ჩასვას ოპოზიციური ფრაქციის მიერ დაბარებული თანამდებობის პირის მოსმენის საკითხი. ამის პრევენციის მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ დაბარების შემთხვევაში პირი ვალდებულია კომიტეტის უახლოეს სხდომას დაესწროს. ამასთან, გათვალისწინებულია შესაძლებლობაც, რომ მომწვევმა სუბიექტმა ის არა უახლოეს, არამედ სხვა სხდომაზე დაიბაროს და განსხვავებული თარიღი განსაზღვროს ამისთვის.

რეგლამენტის მოქმედი რედაქციით უკვე დაბარებული პირის განმეორებით ნებისმიერი კომიტეტის სხდომაზე მოწვევა არ შეუძლიათ ფრაქციას და კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობას. პირის მოწვევა ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით. აღნიშნული მეტი ძალისხმევით გაწევას გულისხმობს პარლამენტის მხრიდან თანამდებობის პირის საკონტროლოდ, რაც ამ მექანიზმის ეფექტიანობას ამცირებს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ არ უნდა არსებობდეს განსხვავებული კვორუმები დაბარების ინტენსივობის მიხედვით. თანამდებობის პირის დაბარება განპირობებული უნდა იყოს განსახილველი საკითხის აქტუალობაზე და არა დაბარების სიხშირეზე. ევროპული ქვეყნები მსგავს შეზღუდვას არ იცნობენ. შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს იმ ნორმის ამოღებას, რომელიც განსხვავებულ კვორუმს აწესებს და თანამდებობის პირის განმეორებით დაბარების შემთხვევაში და მასზე ორდინარული წესი გავრცელდება. შედეგად, როგორც ფრაქციას, ისე კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობას ნებისმიერ დროს მიეცეს შესაძლებლობა ნებისმიერი პირი დაიბაროს კომიტეტის სხდომაზე.

რეგლამენტის მიხედვით 3 თანამდებობის პირის დაბარება (პრემიერ- მინისტრის, გენერალური პროკურორის ან/და სუს-ის უფროსის) კომიტეტის სხდომაზე შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ასეთი დიფერენცირებული მიდგომა ევროპის ქვეყნებს არ აქვთ. ამიტომ, კანონპროექტი ითვალისწინებს დასახელებული გამონაკლისის გაუქმებას და ფრაქციისა და კომიტეტის დამსწრეთა უმრავლესობის აღჭურვას ამ უფლებამოსილებით.

მიუხედავად იმისა, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გაიზარდა, კვლავ გამოწვევად რჩება ვადების დაცვა. რეგლამენტით განსაზღვრული არ არის ჯგუფის მიერ მისთვის დადგენილი ვადის დარღვევის სამართლებრივი შედეგი. შესაბამისად, დროის გადაცილების მიუხედავად, შესაძლოა, ჯგუფების საქმიანობა უსასრულოდ გაგრძელდეს. ამ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, კანონპროექტი კომიტეტს/საბჭოს აძლევს უფლებამოსილებას, თავად განსაზღვრონ თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შესასწავლი საკითხის გათვალისწინებით, თუმცა ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს. მისი გაგრძელება დაუშვებელი უნდა იყოს. ვადის გასვლამდე კი ჯგუფი ვალდებული იქნება წარმოადგინოს საკუთარი დასკვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ორგანოს უფლებამოსილება შეუწყდება.

თემატურ მოკვლევასთან დაკავშირებით არსებობდა ის პრობლემა, რომ მოკვლევის ჯგუფების შემადგენლობა ზოგჯერ აღემატებოდა თავად კომიტეტის წევრთა რაოდენობასაც. თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანია, საკანონმდებლო ორგანომ ექსპერტული წრის ფარგლებში, მოქნილი სტრუქტურის პირობებში შეისწავლოს კონკრეტული საკითხი. ამას კი შესაძლოა ხელი შეეშალოს ჯგუფის წევრთა დიდი რაოდენობით. კანონპროექტი ადგენს, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრთა რაოდენობა შემქმნელი სუბიექტის წევრთა რაოდენობის ნახევარს. გამონაკლისი იარსებებს რამდენიმე კომიტეტის ინიციატივით შექმნილ ჯგუფებზე, რომლებშიც შესაძლებელია, რომ უფრო მეტი დეპუტატი გაწევრიანდეს.

პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების ფორმატი კონსტიტუციით გათვალისწინებული მექანიზმია. მისი მიზანია, მთავრობის მეთაურისგან პარლამენტმა მოისმინოს სამთავრობო პროგრამის შესრულების მდგომარეობა ყველა მიმართულებაზე. რეგლამენტის არსებული რეგულირების მიხედვით, შესაძლოა, ახალარჩეული პარლამენტის მიერ ნდობაგამოცხადებული პრემიერის პირველი მოხსენება 6 თვეზე ნაკლებ პერიოდს შეეხებოდეს, ვინაიდან მოხსენების თარიღი საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში ხდება, ხოლო ახალ კაბინეტს ნდობა შესაძლოა დეკემბერში ან უფრო გვიან გამოუცხადოს პარლამენტმა. ამ მცირე პერიოდზე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა აზრს მოკლებულია და მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენს. წარმოდგენილი პროექტით, რეგლამენტით პრემიერის ყოველწლიური მოხსენებით წარდგენის ვალდებულება წესდება არა ხისტად, კონკრეტული თვის დადგენით, არამედ ნდობის გამოცხადებიდან ყოველი 1 წლის თავზე. ამ გზით ეს მექანიზმი უფრო ეფექტიანი და ნაკლებად ფორმალური გახდება.

გარდა ზემოთ მითითებული პრობლემებისა, საპარლამენტო კონტროლის ხარისხის გასუმჯობესებლად აუცილებელია ისეთი ცვლილებების განხორციელება, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებს საჭიროებს (მაგალითად, მინისტრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შემოღება ცალკეული მინისტრის მიმართ უნდობლობის გამოცხადების მეშვეობით). საია იმედოვნებს, რომ პარლამენტი გაითვალისწინებს ამ მექანიზმის ეფექტიანობის არგუმენტებს და მიიღებს ზომებს, საპარლამენტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად ყველა საკანონმდებლო ინსტირუმენტის გამოსაყენებლად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეგლამენტის მიღების აუცილებლობა:

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების დიდ ნაწილს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს. პროექტში წარმოდგენილი ღებულებებიც რეგლამენტშია გაწერილი. შესაბამისად, მათი მომწესრიგებელი ნორმების ახლებური რედაქციით ჩამოყალიბება რეგლამენტში ცვლილების გზით არის შესაძლებელი. ამასთან ის პრობლემები, რაც ორგანიზაციამ რამდენიმე წლიანი მონიტორინგის შედეგად გამოავლინა, მხოლოდ პრაქტიკის შეცვლით ვერ გამოსწორდებოდა (რასაც საპარლამენტო საქმიანობაზე დაკვირვებაც ადასტურებს). შესაბამისად, აუცილებელია ისინი ნორმატიულ დონეზე დადგინდეს.

რაც შეეხება სამთავრობო საათის პროცედურას, რომელიც ნოვაციას წარმოადგენს და პირველად მკვიდრდება ამ საკანონმდებლო ცვლილებებით, საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. იგი კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული, თუმცა, სხვა საზედამხედველო მექანიზმების მსგავსად (როგორცაა მინისტრის საათი, თემატური მოკვლევა, საკომიტეტო სხდომაზე დაბარება და სხვა) მისი შემოღება რეგლამენტიდან არის შესაძლებელი. ამასთან, ეს პროცედურა შესაბამისობაშია კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტთან. ის რაიმე ფორმალურ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, არამედ წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე აღმასრულებელი შტოს ანგარიშვალდებულების პრაქტიკაში რეალიზების ერთ-ერთ ფორმას.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღების შემთხვევაში არსებითად გაუმჯობესდება საპარლამენტო კონტროლის ხარისხი ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაძლიერებას განაპირობებს. ამ ცვლილებებით საქართველო მიუახლოვდება ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, რომლის მისაღებადაც ერთ-ერთ პრიორიტეტად ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები და ეფექტიანი დემოკრატიული ზედამხედველობაა გათვალისწინებული ევროკომისიის მიერ.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს საპარლამენტო კონტროლის 8 ინსტირუმენტის დახვეწასა და გაძლიერებას. კერძოდ:

1. კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების სავალდებულო დასწრება (მუხლი 40)

ცვლილების მიხედვით, განისაზღვრება ზოგადი თარიღი, როდის უნდა დაესწროს მოწვეული თანამდებობის პირი შესაბამისი კომიტეტის სხდომას: თანამდებობის პირი ვალდებული იქნება მოთხოვნის საფუძველზე დაესწროს კომიტეტის უახლოეს სხდომას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოწვევის ინიციატორი სხვა თარიღს განსაზღვრავს. წარმოდგენილი ცვლილება აღმოფხვრის იმ ხარვეზს რეგლამენტში, რომელიც დიად ტოვებდა საკითხს, თუ როდის უნდა გამოცხადებულიყო დაბარებული თანამდებობის პირი კომიტეტზე. კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ ეს იქნება უახლოესი კომიტეტის სხდომა (რომელიც მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ ჩაინიშნება), ან თავად მოწვევის ინიციატორი განსაზღვრავს კონკრეტული სხდომის თარიღს, რომელზეც უნდა გამოცხადდეს თანამდებობის პირი.

2. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება (მუხლი 41)

რეგლამენტის არსებული რედაქცია არ განსაზღვრავდა ვადას, როდის უნდა წარმოედგინა ანგარიშვალდებულ სუბიექტს კომიტეტის წინაშე მოთხოვნილი დოკუმენტები, დასკვნები ან სხვა საჭირო მასალები. ინიცირებული პროექტით განისაზღვრება, რომ ისინი კომიტეტს უნდა წარედგინოს კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში. ეს ვადა უნდა იყოს 15 სამუშაო დღემდე.

3. სადეპუტატო კითხვა (მუხლი 148)

სადეპუტატო კითხვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტი რამდენიმე ცვლილებას ითვალისწინებს. (1) ზუსტდება კითხვის და პასუხის შესაძლო თემატიკა. კერძოდ, თანამდებობის პირი ვალდებული იქნება კითხვაზე პასუხში მიუთითოს, მათ შორის, ის ინფორმაცია, რომელიც პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება. (2) ამ ინფორმაციის შემცველობის თაობაზე თავად ადრესატი მიუთითებს პასუხში და იგი არ გამოქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. (3) ემატება რეგულაცია, რომლის მიხედვითაც კითხვაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადის 10 დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ გავრცელდება ამ რეგლამენტის 226-ე მუხლით გათვალისწინებული რეაგირების ფორმები. (4) ამასთან, აღნიშნული ათდღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, კითხვის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ ის შეიძლება აგრეთვე დამატებით დაისვას სამთავრობო საათის მიმდინარეობისას. ამ შემთხვევაში არ იქნება სავალდებულო სამთავრობო საათის ფარგლებში კითხვის გაგზავნისათვის დადგენილი სპეციალური ვადის დაცვა და ის შესაძლებელია პირდაპირ სამთავრობო საათის პროცედურის მიმდინარეობისას დაისვას პლენარულ სხდომაზე.

4. ინტერპელაცია (მუხლი 149)

ინტერპელაციის ნაწილშიც წარმოდგენილი პროექტი რამდენიმე ცვლილებას ითვალისწინებს.

(1) რეგლამენტის პროექტით განისაზღვრება, რომ ერთი ადრესატის მიმართ გაგზავნილ წერილში რამდენიმე განსხვავებული თემატიკის შეკითხვის დასმის შემთხვევაში, თითოეული შეკითხვა დამოუკიდებელ შეკითხვად ითვლება. შედეგად, ინტერპელაციის პროცედურა თითოეულ ასეთ შეკითხვასთან დაკავშირებით ცალცალკე გაიმართება. (2) ვინაიდან რეგლამენტის არსებული რედაქციით არ არის განსაზღვრული ვადა, როდის უნდა წარედგინოს ინტერპელაციის კითხვაზე პასუხი პარლამენტს, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ამ ვადის დაწესებას. კერძოდ, ინტერპელაციის წესით გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხი პარლამენტის აპარატს ეგზავნება შესაბამის პლენარულ სხდომამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. პარლამენტის აპარატი მიღებულ პასუხს უგზავნის შეკითხვის ავტორებსა და პარლამენტის სხვა წევრებს. შედეგად, პარლამენტის წევრები (მათ შორის, კითხვის ავტორი) უფრო მომზადებული იქნებიან შესაბამის პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის მიმდინარეობისას. (4) კანონპროექტი ადგენს, რომ თუ ინტერპელაციის წესით ჩაბარებულია 2-ზე მეტი შეკითხვა, ბიურო უფლებამოსილია, საკითხი შეიტანოს მომდევნო მორიგი პლენარული სხდომების კვირის დღის წესრიგში. ამ ჩანაწერით აღმოიფხვრება ის პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო დროის პროპორციულ შემცირებასთან და შედეგად ინტერპელაციის პროცედურის არაუფექტიანობასთან. ეს ცვლილება საშუალებას იძლევა, ინტერპელაციის ყველა შეკითხვაზე გაიმართოს სრულყოფილი დებატები, რისთვისაც გამოყენებული იქნება მორიგი პლენარული სხდომების კვირის სხვა დღეებიც. ამასთან, ამოღებული იქნება ის ნორმა, რომელიც დროის პროპორციულ შემცირებას ითვალისწინებდა. (5) იმ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რომელიც დაკავშირებულია ინტერპელაციების მრავალჯერ გადადებასთან და რომელიც შეკითხვის აქტუალობას აზრს უკარგავს, შემოთავაზებულია რეგულირება, რომ თუ ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი შესაბამის კვირაში პარლამენტში საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს გამოცხადებას, ის პარლამენტის წინაშე წარდგება მომდევნო მორიგი პლენარული სხდომების კვირის პარასკევს. შედეგად, თუ პირი ვერ გამოცხადდება პლენარულ სხდომაზე, რომლის დღის წესრიგშიც მის მიმართ გაგზავნილ შეკითხვაზე ინტერპელაციის პროცედურის გამართვაა გათვალისწინებული, საკითხი არა 1 თვით, არამედ 2 კვირით გადაიდება. შედეგად, ინტერპელაციის შეკითხვის აქტუალობის დაკარგვის საფრთხე არსებითად შემცირდება. (6) რეგლამენტში ჩნდება ჩანაწერი, რომელიც ინტერპელაციას ექსპლიციტურად დააკავშირებს

უნდობლობის პროცედურასთან. კერძოდ, ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, შესაბამის სუბიექტებს შესაძლებლობა ექნებათ უნდობლობის საკითხის აღძვრის, ამ რეგლამენტის 161-ე მუხლის შესაბამისად.

5. სამთავრობო საათი (149⁺ მუხლი)

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი საზედამხებელო ინსტრუმენტის - სამთავრობო საათის შემოღებას, რომელიც სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული "question Time"-ის ანალოგია. ორგანიზაციამ იხელმძღვანელა რა სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო რეგულირებებით, შეიმუშავა ერთგვარი ჰიბრიდული მოწყობა ამ პროცედურასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად:

პარლამენტის წევრს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს მთავრობის წევრს ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელს არაუმეტეს ორი შეკითხვით, რომელსაც ზეპირი პასუხი გაეცემა უახლოესი მორიგი პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს. ამ პროცედურას ეწოდება სამთავრობო საათი.

სამთავრობო საათის ფარგლებში დეპუტატმა კითხვა უნდა გააგზავნოს შესაბამის პლენარულ სხდომამდე არაუგვიანეს 4 დღისა. კითხვები უნდა იყოს ლაკონური და იძლეოდეს მოკლე პასუხის გაცემის შესაძლებლობას. ამით განსხვავდება ის ინტერპელაციისგან, რომელიც უფრო სიღრმისეულია და საკითხის დასამუშავებლად უფრო მეტ დროს მოითხოვს.

ინტერპელაციისგან განსხვავებით, სამთავრობო საათის პროცედურა დებატებს არ ითვალისწინებს, როგორც ეს კანონპროექტების პირველი მოსმენით განხილვის დროს ხდება. პლენარულ სხდომაზე კითხვის დაზუსტების უფლებით შესაძლებელია ისარგებლოს მხოლოდ კითხვის ავტორმა, რისთვისაც მას ეძლევა 3 წუთი. თუმცა სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია პარლამენტის სხვა წევრებს მისცეს დამატებითი შეკითხვების დასმის შესაძლებლობა იმ პირობით, რომ პროცედურის ხანგრძლივობამ არ გადააჭარბოს დაშვებულ დროს.

კითხვა-პასუხის პროცედურის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 წუთს. თუ კონკრეტული დღისთვის რამდენიმე შეკითხვაა გაგზავნილი, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, პროცედურის ზუსტ გრაფიკს ყოველი სამთავრობო საათის წინ დაადგენს პარლამენტის ბიურო იმგვარად, რომ 1 შეკითხვისთვის განისაზღვროს არანაკლებ 1 წუთისა, ხოლო პასუხისთვის - არანაკლებ 5 წუთისა. იმ შეკითხვებზე პასუხი, რომელიც შესაბამის პლენარულ სხდომაზე ვერ მოესწრება (ანუ, ვერ ჩაეტევა 90 წუთიან პროცედურაში), ავტომატურად გადავა მომდევნო მორიგი პლენარული სხდომების კვირის სამშაბათ დღეს.

როგორც აღინიშნა, სამთავრობო საათი სამშაბათობით გაიმართება. წარმოდგენილი რედაქციით არ არის შეზღუდული ამ დღეს პროცედურის გამართვის დრო. ის შესაძლებელია დილის სხდომის გახსნისას, განცხადებების პროცედურის შემდეგ გაიმართოს, ან მოგვიანებით. ეს ბიუროს მიერ შედგენილი დღის წესრიგით განისაზღვრება, ორდინარული წესით. ამასთან, კანონპროექტში მითითებულია, რომ მთავრობის წევრს უფლება აქვს, მისთვის გაგზავნილ შეკითხვას უახლოეს პლენარულ სხდომაზე უპასუხოს, თუკი მიიჩნევს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჩქაროა. მაგალითად, თუ პლენარული სხდომების კვირაში, გაიგზავნება შეკითხვა, ის გადაიდება არა ორი კვირით (მომდევნო მორიგი სასესიო კვირისთვის), არამედ იმავე კვირაში, რომელიმე დღეს. ამის მოთხოვნის უფლება კითხვის ადრესატს ექნება.

შეკითხვებზე პასუხის გასაცემად პარლამენტის წინაშე წარდგება შეკითხვის ადრესატი, რომელიც შეიძლება იყოს შესაბამისი მინისტრი, მისი მოადგილე ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულების ხელმძღვანელი. ადრესატის მიერ პასუხის გასაცემად სხვა წარმომადგენლის განსაზღვრა დასაშვებია მხოლოდ მთავრობის წევრის შემთხვევაში, რომელსაც მხოლოდ საკუთარი მოადგილით შეიძლება ჩანაცვლდეს. ეს იმ შემთხვევაშია დაშვებული, თუ მთავრობის წევრი მივლინების ან სხვა საპატიო მიზეზით კონკრეტული პლენარული სხდომის დღეს ვერ ახერხებს პარლამენტში გამოცხადებას.

დგინდება, რომ პლენარულ სხდომაზე შეკითხვას პასუხი გაეცემა იმ შემთხვევაში, თუ კითხვის ავტორი დარბაზში იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შეკითხვას პასუხი გაეცემა წერილობით შესაბამისი პლენარული სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში. შეკითხვა და პასუხი (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი პასუხის ჩანაწერი) ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. შეკითხვის ავტორს უფლება აქვს გამოითხოვოს შეკითხვა სამთავრობო საათამდე არაუგვიანეს 1 დღისა. შემოთავაზებული რეგულაციები ეყრდნობა სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ მსგავს პროცედურას და ერთგვარ ჰიბრიდულ ვარიანტს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისთვის (შედარებითი მიმოხილვა იხ. განმარტებითი ბარათის დ.გ. ქვეპუნქტში).

6. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება (150-ე მუხლი)

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ პრემიერ-მინისტრის მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების თაობაზე უნდა გაიმართოს სამთავრობო პროგრამის წარდგენიდან ყოველი 1 წლის თავზე. ასეთი რეგულაცია გამოასწორებს იმ პრობლემას, რომელიც მთავრობის მეთაურის მოხსენების არასრულ წელს უკავშირდებოდა.

7. თემატური მოკვლევა (155-ე მუხლი)

თემატურ მოკვლევასთან დაკავშირებით კანონპროექტი ითვალისწინებს რამდენიმე ცვლილებას და ისინი პასუხობენ განმარტებითი ბარათის პირველ ნაწილში წარმოდგენილ ხარვეზებს. კერძოდ, (1) დგინდება, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შესაბამისი კომიტეტის ან საბჭოს წევრთა შემადგენლობის ნახევარს. ეს წესი მაშინ შეიძლება დაირღვეს, თუ თემატური მოკვლევაში ბიუროს გადაწყვეტილებით სხვა კომიტეტების წევრებიც არიან ჩართული. (2) თემატური მოკვლევის ჯგუფის უფლებამოსილების ვადას მისი შემქმნელი სუბიექტი დაადგენს, თუმცა ის არ უნდა იყოს 1 წელზე მეტი. ამით კომიტეტს ან საბჭოს ექნება შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს შესასწავლი საკითხის სირთულე და მისი შესწავლისთვის აუცილებელი დრო წინასწარ და ის აღარ იქნება შემოსაზღვრული კონკრეტული ხანგრძლივობით. 1 წლიანი ვადის გაგრძელება დაუშვებელია. (3) თემატური მოკვლევის ჯგუფი ვალდებული იქნება, ვადის გასვლამდე 1 კვირით ადრე წარადგინოს ანგარიში. (4) ამ ვადაში დასკვნის წარუდგენლობის შემთხვევაში კი თემატური მოკვლევის ჯგუფს ავტომატურად შეუწყდება უფლებამოსილება, რის შესახებაც შემქმნელი სუბიექტი აცნობებს პარლამენტის ბიუროს.“.

8. თანამდებობის პირის მიერ რეგლამენტის დარღვევა და სანქციები (მუხლი 226)

რეგლამენტით გათვალისწინებული რეაგირების ზომები გავრცელდება მთავრობის წევრზეც. ამასთან, შესაძლებელი იქნება შესაბამის შემთხვევაში პარლამენტმა პრემიერ-მინისტრს მიმართავს რეკომენდაციით მინისტრის ან მასზე დაქვემდებარებული სხვა თანამდებობის პირის მიმართ პასუხისმგებლობის შესახებ. ამ ნაწილში რეგლამენტის რეგულაცია კონსტიტუციასთან შესაბამისობაში იქნება, ვინაიდან პარლამენტი მხოლოდ რეკომენდაციით მიმართავს პრემიერს და არა სავალდებულო წესით.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

პარლამენტის რეგლამენტის პროექტი არ არის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეგლამენტის პროექტის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რეგლამენტის ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის საჭიროება არ არსებობს. თუმცა, მისი განხილვის პროცედურების დასრულება უმჯობესი იქნება 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე, რათა პროექტით გათვალისწინებულმა დებულებებმა დადებითად იმოქმედოს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების თვალსაზრისით.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეგლამენტის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოშობს აუცილებელ ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეგლამენტის პროექტი არ წარმოშობს ასეთ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

რეგლამენტის პროექტი არ წარმოშობს ასეთ ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეგლამენტის პროექტით გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი) არ დგინდება.

ბ¹) ბავშვის უფლებებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ის დადებითად იმოქმედებს საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის მინიჭებაზე, ვინაიდან ევროკომისიის რეკომენდაციები ითვალისწინებს საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას, რასაც წარმოდგენილი კანონპროექტი ისახავს მიზნად.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეგლამენტის პროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, რეგლამენტის პროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

რეგლამენტის პროექტი შეიმუშავა არასამთავრობო ორგანიზაციამ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. ორგანიზაცია დაეყრდნო საკუთარ 2020 და 2023 წლის კვლევებსა და დოკუმენტს „20 წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საქართველოში“.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს. კანონპროექტში წარმოდგენილ ცალკეული ცვლილებებს იზიარებს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებმაც მსგავსი რეკომენდაციები 2022 წელს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში წარადგინეს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგლამენტის პროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

რეგლამენტის პროექტის მომზადებისას ავტორებმა იხელმძღვანელეს ევროპული ქვეყნების გამოცდილებით და საკანონმდებლო აქტებით.⁵ ამასთან, სხვა ქვეყნების პრაქტიკა

⁵ მიმოხილვა ეყრდნობა სამ კვლევას. იხ: ვახუშტი მენაბდე და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, 2020; სალომე საღარაძე, გიორგი ალავერდაშვილი და ნინო კაპანაძე, საპარლამენტო კონტროლი მათე მოწვევის პარლამენტში პირველი ნაწილი, 2023, აგრეთვე: ვახუშტი მენაბდე (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვები, 20 წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე. უმაღლესი წარმომადგენლობითი

მიმოხილულია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც არსებითად ახალი რეგულირების შემოღებას ითვალისწინებს. სხვა ცვლილებები კი შემოთავაზებულია პროცედურების გამარტივებისა და პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე.

სამთავრობო საათი

სამთავრობო საათის ("Question Time") პროცედურა, სხვადასხვა სახელწოდებით, არსებობს ევროკავშირის შემდეგ წევრ ქვეყნებში: ლიეტუვა, ბულგარეთი, ფინეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, საბერძნეთი, ესპანეთი, გერმანია. ყველა მათგანში ეს პროცედურა რეგლამენტების დონეზეა გაწერილი.

მისი ჩატარების სიხშირე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით: კვირაში ერთხელ იმართება ლიეტუვაში,⁶ ფინეთში,⁷ ბულგარეთში,⁸ ესტონეთში,⁹ უნგრეთსა¹⁰ და ლატვიაში;¹¹ ყოველ სხდომაზე, ანუ კვირაში ოთხჯერ - სლოვაკეთში¹² და იტალიაში.¹³ ხორვატიაში პარლამენტი სასესიო პერიოდში თვეში ერთხელ იკრიბება და ყოველი შეკრებისას დღის წესრიგი იწყება „დილის შეკითხვის საათით“;¹⁴ საბერძნეთში „მიმდინარე კითხვების“, იგივე „სამთავრობო საათის“, პროცედურა იმართება ყოველ ორშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს.¹⁵ გერმანიისა და ესპანეთის შემთხვევაში, პროცედურები განსაზღვრავს შეკითხვის საათის ჩატარების არა კონკრეტულ დღეს, არამედ გამოყოფილი საათების მაქსიმალურ ოდენობას. კერძოდ, გერმანიის ბუნდესტაგში, სხდომების ყოველ კვირას, შეკითხვის საათს ეთმობა არაუმეტეს 3 საათი,¹⁶ ესპანეთში კი ამ პროცედურისთვის 2 საათია გამოყოფილი (თუმცა, როგორც წესი, ის ოთხშაბათობით ტარდება).¹⁷

ორგანოს ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საქართველოში, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ncsSKf>, განახლებულია: 01.05.2023.

⁶ Statute of Seimas of the Republic of Lithuania, art. 208, cl. 1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3M7MdVl>, განახლებულია: 15.05.2023.

⁷ შეკითხვების საათი პლენარულ სხდომაზე ყოველ ხუთშაბათს იმართება. Parliament of Finland, plenary Sessions, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44fNEct>, განახლებულია: 01.05.2023.

⁸ Rules of organisation and procedure of the National Assembly of the Republic of Bulgaria, art. 90, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3i6W7VZ>, განახლებულია: 15.05.2023.

⁹ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, § 142, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FfUruq>, განახლებულია: 15.05.2023.

¹⁰ The rules and procedure of National Assembly of Hungary, art. 43 (1), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ObNDAO>, განახლებულია: 15.05.2023.

¹¹ ხუთშაბათობით. The rules and procedure of Latvian Saeima, art. 120 (1), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41HTZux>, განახლებულია: 15.05.2023.

¹² The rules and procedure of Slovak National Council, No. 350/1996, art. 131. cl. 1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/41w75uY>, განახლებულია: 15.05.2023

¹³ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, art. 130, cl. 1, იტალიის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/v3qod572>, განახლებულია: 15.05.2023.

¹⁴ Standing Orders of the Croatian Parliament, art. 132, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3laYAPa>, განახლებულია: 15.05.2023.

¹⁵ Standing Orders of the Parliament of Greece, art. 130, cl. 1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pxivw6>, განახლებულია: 15.05.2023.

¹⁶ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Annex 4 Guidelines for Question Time and for written questions, I. Right to put questions, 1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42SV4AQ>, განახლებულია: 15.05.2023.

¹⁷ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, art. 191, ესპანეთის კონგრესის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44ihdKg>, განახლებულია:

რაც შეეხება კითხვების ინიციატორებს, ბულგარეთში,¹⁸ ფინეთში,¹⁹ ლიეტუვაში,²⁰ სლოვაკეთში,²¹ ხორვატიაში,²² უნგრეთში,²³ ესტონეთში,²⁴ საბერძნეთში,²⁵ გერმანიაში,²⁶ იტალიისა²⁷ და ესპანეთში²⁸ პარლამენტის 1 წევრსაც შეუძლია. ლატვიის კანონმდებლობა კი ადგენს, სულ მცირე, 5 დეპუტატის მოთხოვნას უპირი კითხვის წარსადგენად.²⁹

„სამთავრობო საათის“ გამართვამდე დეპუტატები ადრესატებს კითხვებს გარკვეული დროით ადრე უგზავნიან. ამ კუთხითაც განსხვავებული მიდგომები არსებობს. ლიეტუვაში კითხვები ისმება უშუალოდ სხდომაზე; თუმცა, თუ კითხვა მოითხოვს დრმა და ყოვლისმომცველ პასუხს, მაშინ იგი წერილობით უნდა გაფორმდეს.³⁰ ლიეტუვის მსგავსად, ფინეთსა³¹ და უნგრეთში³² კითხვებს უშუალოდ სხდომაზე სვამენ. ბულგარეთსა³³ და სლოვაკეთში³⁴ ადრესატს ისინი სხდომამდე 48 საათით ადრე, ხორვატიაში კი - 24 საათით ადრე უგზავნიან. ესტონეთში კითხვები იგზავნება სამთავრობო საათის წინა სასესიო დღის შუადღის 12 საათამდე.³⁵ ლატვიაში კითხვების რეგისტრაცია აუცილებელია, თუმცა რეგლამენტი ვადას არ განსაზღვრავს.³⁶ საბერძნეთში ისინი იგზავნება სხდომამდე 3 დღით ადრე.³⁷ იტალიაში კითხვის დასმიდან 2 კვირის შემდეგ ჩაისმება იგი პლენარული სხდომების დღის წესრიგში.³⁸ გერმანიაში კითხვა იგზავნება პარლამენტის თავმჯდომარესთან სასესიო კვირის წინა პარასკევს დილის 10 საათამდე და ფედერალურ მთავრობაში - 12 საათამდე.³⁹ ესპანეთში კითხვა უნდა ჩაბარდეს ბიუროს მის მიერვე განსაზღვრულ დღეს, თუმცა, ეს უნდა იყოს სხდომამდე არაუგვიანეს 1 კვირისა და არაუადრეს 48 საათისა.⁴⁰

ინტერპელაცია

ფინეთში,⁴¹ ხორვატიაში,⁴² ლიეტუვასა⁴³ და სლოვაკეთში⁴⁴ ინტერპელაციის შემდგომ უნდობლობის პროცედურის აღძვრის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის დაბარება

¹⁸ Rules of organisation and procedure of the National Assembly of the Republic of Bulgaria, art. 90, cl. 1.

¹⁹ Parliament's Rules of Procedure of Eduskunta of Finland, Section 45, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42TCoRE>, განახლებულია: 15.05.2023.

²⁰ Seimas of the Republic of Lithuania statute, art. 208, cl. 2.

²¹ The rules and Procedure of Slovakian National Council, art. 131, cl. 4.

²² Standing Orders of the Croatian Parliament, art. 132.

²³ The rules and Procedure of National Assembly of Hungary, art. 42, cl. 8.

²⁴ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, art. § 144.

²⁵ Standing Orders of the Parliament of Greece, art. 132, cl.2.

²⁶ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, art. 105.

²⁷ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, art. 128.

²⁸ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, sec. 185.

²⁹ Rules of Procedure of the Latvian Saeima, art. 119, cl. 1.

³⁰ Seimas of the Republic of Lithuania Statute, art. 208, cls. 2, 3.

³¹ Parliament's Rules of Procedure of Finland, section 25.

³² Act XXXVI of 2012 on the National Assembly of Hungary, sec. 43, para. 1.

³³ Rules of Organisation and Procedure of the National Assembly of Bulgaria, art. 90, cl. 1.

³⁴ Act of the National Council of the Slovak Republic No. 350/1996 on Rules of Procedure, Section 131, par. 1.

³⁵ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Para 144, sec. 1.

³⁶ Rules of Procedure of the Saeima of Latvia, art. 119.

³⁷ Standing Orders of the Parliament of Greece, art. 130, sec. 2.

³⁸ Rules and procedures of Chamber of deputies of Italy, rule 129, sec. 2.

³⁹ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Annex 4 Guidelines for Question Time and for written questions, II, Tabling of Questions, 8.

⁴⁰ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, sec.188, para. 1.

⁴¹ Parliament's Rules of Procedure of Eduskunta, sec. 43.

⁴² Standing orders of the Croatian Parliament, art. 150.

⁴³ Seimas of the republic of Lithuania statute, art. 222, cl. 3.

⁴⁴ The Rules and Procedure of Slovak National Council, art. 130, cl. 6.

კომიტეტზე დაბარების მექანიზმი არსებობს ფინეთში,⁴⁵ ბულგარეთში,⁴⁶ ხორვატიასა⁴⁷ და სლოვაკეთში.⁴⁸ ბულგარეთსა და ლიეტუვაში, გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა, ხოლო ფინეთში, ხორვატიასა და სლოვაკეთში - აბსოლუტური უმრავლესობით.

საპარლამენტო მოდელებიდან აღნიშნული მექანიზმი გვხვდება გერმანიაში. კერძოდ, კომიტეტი უფლებამოსილია, საკუთარ სხდომაზე დაიბაროს ფედერალური მთავრობის წევრი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.⁴⁹ იტალიაში დეპუტატთა პალატის წევრი უფლებამოსილია, მოითხოვოს მის მიერ მინისტრისთვის გაგზავნილი კითხვის განხილვა კომიტეტის სხდომაზე.⁵⁰ ესპანეთში თუ დეპუტატთა კონგრესის კითხვის ავტორს სურს, რომ პასუხი ზეპირად მიიღოს, მაშინ კითხვის ადრესატი უნდა წარდგეს შესაბამისი კომიტეტის წინაშე.⁵¹ ლატვიაში⁵² კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ესტონეთში მთავრობის წევრს იბარებენ აბსოლუტური უმრავლესობით,⁵³ ხოლო საბერძნეთში - კომიტეტის წევრთა 2/5-ის მოთხოვნით.⁵⁴ განხილული ქვეყნების კანონმდებლობით, განსხვავებული კვორუმები რომელიმე თანამდებობის პირის დაბარებასთან დაკავშირებით არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

⁴⁵ SGI, Are parliamentary committees able to summon ministers for hearings? Sustainable Governance Indicator-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5kmr2l>, განახლებულია: 15.05.2023.

⁴⁶ Rules of Organization and Procedure of the National Assembly of Bulgaria, Article 110, section 2.

⁴⁷ SGI, Are parliamentary committees able to summon ministers for hearings? Sustainable Governance Indicator.

⁴⁸ Rules of Organization and Procedure of the National Assembly, Article 53, section 2.

⁴⁹ Rules of Procedure of the German Bundestag and Rules of Procedure of the Mediation Committee, Rule 48, section 2.

⁵⁰ Rules of Procedure of the Chamber of Deputies of Italy, Rule 133, sec. 1.

⁵¹ Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, article 187.

⁵² Rules of Procedure of the Saeima of Latvia, Article 175.

⁵³ Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, Para. 22, sec. 1, subsection 2, Para. 38, sec. 1.

⁵⁴ SGI, Are parliamentary committees able to summon ministers for hearings? Sustainable Governance Indicator-ის ვებგვერდი.